

პროექტის შესახებ

მიზნობრივი ინიციატივა საქართველოსთვის (TIG) "ქართველი დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციისა და საქართველო-ევროკავშირის შორის გაფორმებული რეადმისიის ხელშეკრულების განხორციელების მხარდასაჭერად" ხორციელდება საქართველოსა და ევროკავშირის შორის 2009 წლის ნოემბერში ხელმოწერილი ხელშეკრულების: "პარტნიორობა მობილურობისთვის" ფარგლებში. პროექტს ახორციელებს ევროკავშირის 9 წევრი ქვეყნისგან შემდგარი კონსორციუმი ჩეხეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობით და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან და ადგილობრივ სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობით.

მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ

www.informedmigration.ge

ან დაგვიკავშირდით:

ტელ: (+995 32) 2600 955, მობ: (+995 599) 533001

tig@tig-eu.ge

საჭირო კონტაქტები პოლონეთში:

საქართველოს საელჩო პოლონეთში

ბერნენსკას ქ. #6, 03-976 ვარშავა,

ტელ: + 48 22 616-62-21/21/22/25

ვებ. გვერდი: www.poland.mfa.gov.pl

მამოვეცკი ვოივოდ ოფისი

უცხოელთა მომსახურების ოფისი, მუშაობის ნებართვის

მიმნიჭებელი განყოფილება

3/5 ბანკოვის მოედანი, 00-950 ვარშავა

ტელ: +48 22 695 69 17

ელ. ფოსტა: ozp@mazowieckie.pl

ვებ. გვერდი: www.mazowieckie.pl (ინგლისურად, რუსულად)

უცხოელთა მომსახურების ოფისი, ქვეყანაში ყოფნის

ლეგალიზაციის განყოფილება

(დროებითი/მუდმივი ცხოვრების ნებართვა)

3/5 ბანკოვის მოედანი, 00-950 ვარშავა

ტელ: +48 22 695 67 70, +48 22 695 67 73

ელ. ფოსტა: legalizacjapobytu@mazowieckie.pl

ვებ. გვერდი: www.mazowieckie.pl (ინგლისურად, რუსულად)

შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტრო,

შრომითი ბაზრის განყოფილება (შრომითი მიგრაციის სამსახური);

ნოვოგროდზკას ქუჩა 1/3/5, 00-513 ვარშავა

ტელ: +48 22 461 61 18; +48 22 461 61 15

ვებ. გვერდი: www.mpips.gov.pl (ინგლისურად)

ოფისი უცხოელთა საკითხებზე

(მუდმივი ცხოვრების ნებართვების თაობაზე უარყოფითი

გადანყვეტილების გასაჩივრება)

კომიკოვას ქ. 6, 00-564 ვარშავა

ტელ: +48 22 60 175 14

ელ. ფოსტა: legalizacjapobytu@udsc.gov.pl

ვებ. გვერდი: www.udsc.gov.pl (ინგლისურად, რუსულად)

ეროვნული შრომითი ინსპექტორატი

(უფასო კონსულტაცია შრომით კანონმდებლობაზე და დასაქმების ლეგალურობაზე, შრომითი კანონის დარღვევებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვა), კრუცზას ქ. 38/42, 00-926 ვარშავა;

ტელ: +48 22 420 37 94

ვებ. გვერდი: www.pip.gov.pl (ინგლისურად)

სასაზღვრო დაცვა - სათაო ოფისი

(საზღვრის კონტროლი, უცხოელთა ქვეყანაში ცხოვრების და მუშაობის ლეგალურობის საკითხები)

ნიეპოდლეგლოზკის გამზირი # 100, 02-514 ვარშავა,

ტელ: +48 22 5004777

ელ. ფოსტა: zcu.kg@strazgraniczna.pl

ვებ. გვერდი: www.strazgraniczna.pl (ინგლისურად)

ჰელსინკის ადამიანის უფლებათა ფონდი

(უფასო იურიდიული კონსულტაცია ლტოლვილთათვისა და მიგრანტებისთვის) ზგოდას ქ. 00-018 ვარშავა

ტელ: +48 22 556 44 66, +48 22 828 10 08

ელ. ფოსტა: hfhr@hfhrpol.waw.pl

ვებ. გვერდი: www.hfhr.pl

ლეგალური ინტერვენციის ასოციაცია,

(უფასო კონსულტაციები მიგრანტებისათვის), ალ. 3-გო მაია 12 /510, 00-391 ვარშავა,

ტელ: +48 22 621 51 65

ელ. ფოსტა: interwencja@interwencjaprawna.pl

ვებ. გვერდი: www.interwencjaprawna.pl

ფონდი „Salvation”, უფასო კონსულტაციები მიგრანტებისათვის,

აგრეთვე ქართულ ენაზე!

ტელ: +48 22 828 50 54

ვებ. გვერდი: www.ocalenie.org.pl

ფონდი განვითარებისათვის „Besides Borders” (FROG),

უფასო კონსულტაციები მიგრანტებისათვის,

ტელ: +48 22 403 78 72

ელ. ფოსტა: info@frog.org.pl

ვებ. გვერდი: www.frog.org.pl (ინგლისურად, რუსულად)

ფონდი La Strada –ბრძოლა ადამიანთა ტრეფიკინგისა და

მონობის წინააღმდეგ

(დახმარების განწევა დროებითი საცხოვრებელი ადგილის მოძებნაში, სამედიცინო/იურიდიული დახმარება/დროებითი საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფა, სამშობლოში უსაფრთხო დაბრუნება, სამშობლოში უსაფრთხო დაბრუნება);

ტელ: +48 22 628 99 99, + 48 22 628 01 20

ვებ. გვერდი: www.strada.org.pl, www.kcik.pl

ევროკავშირისა და საქართველოს შორის გაფორმებული ხელშეკრულება – პარტნიორობა მობილურობისათვის



შრომითი მიგრაცია პოლონეთში



პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ



Targeted Initiative Georgia

დაინტერესებული ხართ პოლონეთში სამუშაოს დაწყებით?

ეს ბუკლეტი მოგაწვდით ინფორმაციას პოლონეთში მუშაობის დაწყების თაობაზე. **დროებითი სამუშაო 6 თვემდე ვადით (მუშაობის ნებართვის გარეშე)** ეს გამარტივებული პროცედურა განკუთვნილია მხოლოდ ხუთი ქვეყნის მოქალაქეთათვის (ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა, რუსეთი და უკრაინა). პროცედურა ეფუძნება პოლონეთის შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტროს მიერ დადგენილ წესს და ძალაშია 2011 წლის 20 ივლისიდან. თქვენ გეძლევათ საშუალება მუშაობის ნებართვის გარეშე იმუშაოთ პოლონეთის ეკონომიკის ნებისმიერ სექტორში არაუმეტეს ექვსი თვისა 12 თვის განმავლობაში.

რა პროცედურების გავლაა საჭირო?

1. დამქირავებელი ვალდებულია შეავსოს **განაცხადი** ადგილობრივ კომპეტენტურ შრომით სააგენტოში **იმის თაობაზე, რომ იგი აპირებს სამუშაოზე უცხოელის აყვანას** (მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ან კომპანიის ადგილმდებარეობის მიხედვით). დეკლარაციის ფორმა შეგიძლიათ მიიღოთ და რეგისტრაცია გაიაროთ ადგილზე ერთი დღის განმავლობაში. **როგორც დეკლარაციის ფორმა, ასევე რეგისტრაცია უფასოა** (ნებისმიერი თანხის მოთხოვნა უკანონოა!)

დეკლარაცია უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას: თქვენი პირადი მონაცემები, თქვენი დამსაქმებლის მონაცემები, თქვენს მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა, სამუშაოს დაწყების თარიღი, კონტრაქტის ხანგრძლივობა, სამუშაო ადგილის მისამართი, შეთავაზებული ხელფასი, კონტრაქტის სახეობა. **დეკლარაციის ასლი რჩება ოფისში, თქვენ კი გადმოგეცემთ დოკუმენტის დედანი.**

დამქირავებელთან დაკავშირებით რაიმე სახის ეჭვის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებლობა გაქვთ ნახოთ და შეამოწმოთ კომპანიის შესახებ არსებული ინფორმაცია შემდეგი ვებგვერდის საშუალებით: www.stat.gov.pl ან www.krs-online.com.pl. ამავე ვებგვერდზე თქვენ შეგიძლიათ გადაამოწმოთ დარეგისტრირებულია თუ არა დამსაქმებელთა სააგენტოების სიაში ის შუამავალი დამსაქმებელი სააგენტო, რომლის მომსახურებითაც ისარგებლეთ სამუშაო ადგილის ძებნის პროცესში.

2. მიუხედავად იმისა, რომ თქვენ არ გჭირდებათ სამუშაოს ნებართვა, ვალდებული ხართ მიმართოთ თბილისში მდებარე პოლონეთის საელჩოს **სამუშაო ვიზის** მისაღებად, რომელიც მოგცემთ პოლონეთში ლეგალურად ჩასვლის და ცხოვრების

საშუალებას. სამუშაო ვიზის განაცხადს თან უნდა ერთვოდეს დეკლარაციის ასლი. დეკლარაციის დედანი რჩება თქვენთან, რადგან აღნიშნული დოკუმენტი შესაძლოა დაგჭირდეთ პოლონეთში მუშაობისას.

პოლონეთის საელჩო თბილისში ძმები ზუბალაშვილების ქ. # 19

www.tibilisi.polemb.net

ტელ: (+995 32) 2 93 62 36

3. პოლონეთში ჩასვლისას, თქვენ და თქვენმა დამქირავებელმა უნდა **გააფორმოთ კონტრაქტი** (შრომითი ან სამოქალაქო). მოთხოვნისამებრ, კონტრაქტი შესაძლოა ითარგმნოს მშობლიურ და თქვენთვის გასაგებ სხვა ენაზე.

იმ შემთხვევაში, თუ ვერ შეძლებთ დამქირავებელთან კონტრაქტის გაგრძელებას (ნებისმიერი მიზეზით) მაგრამ თქვენი ვიზა ჯერ კიდევ ძალაშია, შეგიძლიათ **სხვა სამსახურის** მოძებნა (იმ დროის განმავლობაში რაც დარჩა ვიზით განსაზღვრული პერიოდის დასრულებამდე) თითოეულმა ახალმა დამსაქმებელმა უნდა გაიაროს სარეგისტრაციო პროცედურა ადგილობრივ შრომით ოფისში. თქვენ გექნებათ უფლება დარჩეთ და იმუშაოთ პოლონეთში ვიზით განსაზღვრულ ვადებში (მაქსიმუმ 6 თვის განმავლობაში ქვეყანაში პირველად ჩამოსვლის დღიდან).

6 თვიან მეთი ვადით მუშაობისთვის საჭიროა მუშაობის ნებართვა

იმ შემთხვევაში, თუ გსურთ მუშაობის გაგრძელება პოლონეთში 6 თვის პერიოდის გასვლის შემდეგ, ან თავიდანვე გსურთ იმუშაოთ 6 თვეზე მეტი ვადით, თქვენმა დამქირავებელმა უნდა შეიტანოს განცხადება თქვენთვის **მუშაობის ნებართვის გაცემის თაობაზე**.

პოლონეთში არსებობს მუშაობის ნებართვის რამდენიმე სახეობა (A-დან E-მდე). ყველაზე ტიპურია A კატეგორიის მუშაობის ნებართვა (სამუშაო სრულდება პოლონეთის ტერიტორიაზე მყოფ დამსაქმებელთან გაფორმებული კონტრაქტის საფუძველზე) მეთი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ შემდეგ ვებგვერდს: www.mazowieckie.pl

მუშაობის ნებართვის პროცედურა:

1. მუშაობის ნებართვაზე განაცხადის შეტანამდე **თქვენი დამსაქმებელი** ვალდებულია მიიღოს დასტური ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლისგან იმის თაობაზე, რომ უმუშევართა სარეგისტრაციო მონაცემების თანახმად, პოლონეთის მოქალაქეებმა არ გამოთქვეს სურვილი მონაწილეობა მიეღოთ თქვენთვის სასურველი სამუშაო ადგილისათვის გამოცხადებულ

კონკურსში ან პოლონელ კანდიდატებს შორის გამართული კონკურსი უარყოფითი შედეგებით დასრულდა (ე. წ. შრომითი ბაზრის ტესტი)

შრომითი ბაზრის ტესტი არ არის საჭირო, თუ:

- თქვენ იმუშავებთ **არანაკლებ 3 თვისა დამსაქმებლის მიერ შევსებული დეკლარაციის საფუძველზე** (გამარტივებული პროცედურა) იქამდე, სანამ თქვენმა დამსაქმებელმა წარადგინა განაცხადი თქვენთვის მუშაობის ნებართვის გაცემის თაობაზე;
- იმ შემთხვევაში, თუ თქვენ გეგმავთ საექტონო სფეროში დასაქმებას ან აპირებთ ოჯახებში მომვლელად ან დიასახლისად მუშაობას.

2. თქვენმა დამსაქმებელმა მუშაობის ნებართვის გაცემის თაობაზე უნდა მიმართოს შესაბამის ადგილობრივ მმართველ ორგანოს (ვოივოდა). მან უნდა შეავსოს ანკვეტა, წარადგინოს საჭირო დოკუმენტაცია და გადაიხადოს განაცხადის ღირებულება 100 ზლატის (27 ევრო) ოდენობით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ შემდეგ ვებგვერდს: www.mazowieckie.pl

მუშაობის ნებართვის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღების ვადა შეადგენს **30 დღეს** (პრაქტიკაში ამ პროცედურას შესაძლოა მეტი დრო დაეთმოს). ჩვეულებრივ, მუშაობის ნებართვა გაცივება **3 წლამდე ვადით** (ვადის გაგრძელების შესაძლებლობით).

უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში მხოლოდ თქვენი დამქირავებელი უფლებამოსილი **გაასაჩივროს** შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გადაწყვეტილების მიღებიდან 14 დღის განმავლობაში.

3. **თქვენ** ხართ პასუხისმგებელი პოლონეთში **ლეგალურად ცხოვრების ვადის გაგრძელებაზე!** მოქმედი ვიზის ამონურვამდე 45 დღის განმავლობაში თქვენ უნდა წარუდგინოთ ადგილობრივ ვოივოდას ოფისს განაცხადი დროებითი ცხოვრების ნებართვის ვადის გაგრძელების თაობაზე. მუშაობის უფლება წარმოადგენს ერთ-ერთ დოკუმენტს, რომელიც საჭიროა დროებითი ცხოვრების ნებართვის მიღებაზე განაცხადის შევსებისას. განაცხადის ფორმა და დეტალური ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ვებგვერდზე: www.mazowieckie.pl.

4. მუშაობის ნებართვის მოპოვებისთანავე, თქვენ და თქვენს დამქირავებელს შორის უნდა გაფორმდეს წერილობითი კონტრაქტი (შრომითი ან სამოქალაქო).